საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
გენერალური დირექტორი

KA990156081623420

№02/42 **03 / ივლისი / 2020 წ.**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისთვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის 2015 წლის 30 ოქტომბერს გაფორმებული N02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს N1 დანართის თანახმად.

2. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.

3. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52).

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ ანთიძე

დანართი

№	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
1.		ბიუ მილდიანის კომპლექსი	მესტიის მუნიციპალიტეტი, ცხუმარის თემის სოფელი მაგარდელი GPS კოორდ. X 300951 Y 4764144	არქიტექტურის / ეთნოგრაფიული	გვიანი შუა საუკუნეები
2.		აკაკი ქურდიანის კოშკი და სახლი	მესტიის მუნიციპალიტეტი, მულახის თემი, სოფელი მურშკელი	არქიტექტურის	შუა საუკუნეები, XX საუკუნე
3.		ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ხანდაკი GPS კოორდ. 41,885570 44,504275	არქიტექტურის	IX-X საუკუნეები
4.		კოშკი მტკვრის პირას	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ხანდაკი GPS კოორდ. 41°52’9 44°31’57	არქიტექტურის	XVIII საუკუნე

5.		მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ხანდაკი GPS კოორდ. 41.880436 44.504275	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები
6.		წმ. გიორგის სახელობის ეკლესია	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ხანდაკი GPS კოორდ. 41,88540 44,50407	არქიტექტურის	XVII-XVIII საუკუნე
7.		სოფლის ცენტრში მდებარე კოშკი	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ხანდაკი GPS კოორდ. 41.884886 44.503163	არქიტექტურის	XVIII საუკუნე
8.		შალუტაშვილების მარანი	კასპის მუნიციპალიტეტი, ქალაქი კასპი, 26 მაისის ქ. N9	ეთნოგრაფიული	XIX საუკუნის I ნახევარი
9.		მიწისქვეშა კამაროვანი სათავსი	კასპის მუნიციპალიტეტი, ქალაქი კასპი, გორგასლის ქ. N7	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები
10.		წმ. გიორგის სახელობის ეკლესია	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვახვრელი	არქიტექტურის	გვიანი შუა საუკუნეები

11.		ოხერახევის ნაქალაქარი და სამაროვანი	მცხეთის მუნიციპალიტეტი. ნიჩბისის თემი	არქიტექტურის / არქეოლოგიური / ქალაქთმშენებლობის (ურბანული)	ელინისტური ხანა (ძვ. წ. IV- ახ. წ. I ს.)
12.		კულტურის სახლი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი შრომა GPS კოორდ. X238358.844583063; Y-4652976.1772266	არქიტექტურის	1956 წელი
13.		წმ. გიორგის სახელობის ეკლესია	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხეცერა GPS კოორდ. N 42°26'00" E 41°52'25	არქიტექტურის	XIII-XIV საუკუნეები, აღდგენილია XVII საუკუნე
14.		მრავალ სამშენებლო ჰორიზონტიანი გორა ნამოსახლარი - არუხლო I	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნახიდური GPS კოორდ. E847674693, N4591011; E8474721,N4591086; E8474655,N4591104,E847460543,N4591053	არქეოლოგიური / მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი	ძვ. წ. VI ათასწლეული, შომუ თეფე-შულავერის კულტურა
15.		სამების სახელობის ეკლესია	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეორე ტოლა GPS კოორდ. X- 43.002231 Y- 42.577164	არქიტექტურის	XIX საუკუნე